

საქართველოს კანონი

“სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №50, 30.12.2006, მუხლი 401) მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 1 500-დან 3 000 ლარის ჩათვლით;

გ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ საღაროზე – კვარტალში 3 750-დან 7 500 ლარის ჩათვლით;“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან.